ხელშეკრულება № 78

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

29. 12. 2016 წ.

ქ. თბილისი

ერთის მხრივ, სსიპ - ქალაქ თბილისის N108 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მაია მღვდელაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,მეტრომარტ" (შემდგომში - მიმწოდებელი) მისი დირექტორის --თ. მანჭულაშვილი---- სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს¹" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია პროექტორის (CPV:30191200) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. ხელშეკრულების საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართი 1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 959,99 (ცხრაასორმოცდაცხრამეტი ლარი 99 თეთრი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში შემსყიდველის მისამართზე (ქ. თბილისი, შუამთის ქ.N20).

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით

გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.
10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017წ 31 იანვრამდე.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

სსიპ -   ქალაქ თბილისის №108 საჯარო სკოლა
ს/კ 208142776
მის: ქ. თბილისი, შუამთის ქ.N20
ტელ: 276 52 52
საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს ,,ლიბერთი ბანკი“
ბანკის კოდი LBRTGE22
ა/ს GE43LB0121151729644000

დირექტორი

მ. მღებრიშვილი   ბ.ა

მიმწოდებელი:

შპს ,,მეტრომარტ“
ს/კ 401975662
მის.:ქ. თბილისი, დ.აღმაშენებელისგამზირი N196
ტელ: 2000555,
საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს თიბისი“ ბანკი
ბანკის კოდი TBCBGE22
ა/ს GE50TB7716636020100001

დირექტორი

ბ.ა

დანართი N1 ხელშეკრულების საგნის აღწერა

1. შესყიდვის ობიექტია: პროექტორი

№	დასახელება	CPV კოდი	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო
1	პროექტორი PJD5151 (69700)	30191200	ცალი	1	959,99	959,99
	სულ ღირებულება					959,99 ლარი

სსიპ - ქალაქ თბილისის N108 საჯარო
სკოლის დირექტორი _____ /მ. მღვდელაძე/

შპს „მეტრომარტ“ -ის დირექტორი _____ /----------/

მიღება – ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი 29. 12. 2016წ

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ შპს „მეტრომარტ“ („მიმწოდებელი“) მისი დირექტორი თ. მანჭულაშვილი და მეორეს მხრივ სსიპ ქალაქ თბილისის №108 საჯარო სკოლის დირექტორი მაია მღვდელაძე („მიმღები“) ვადგენთ აქტს მასზედ, რომ „მიმწოდებელმა“ ნამდვილად მიაწოდა ხელშეკრულების დანართი 1-ის შესაბამისად 959,99 ლარის ღირებულების პროექტორი.

„მიმწოდებელი“
შპს „მეტრომარტ“

„მიმღები“
სსიპ ქალაქ თბილისის
№108 საჯარო სკოლის
დირექტორი

სსიპ ქალაქ თბილისის N108 საჯარო სკოლის დირექტორისა და შესყიდვების კოორდინატორის დადასტურება ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 29 დეკემბერი 2016 წელი

სსიპ ქალაქ თბილისის N108 საჯარო სკოლის დირექტორი მაია მღვდელაძე და შესყიდვების კოორდინატორი მიმოზა გამცემლიძე ვადასტურებთ, რომ ჩვენსა და შპს ,,მეტრომარტ"-ს (ს/კ 401975662) შორის, რომელთანაც გაფორმდა გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულება N78, არ არსებობს ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტი.

სსიპ ქალაქ თბილისის N108 საჯარო სკოლის

დირექტორი: /მაია მღვდელაძე/

კოორდინატორი: /მიმოზა გამცემლიძე/

ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK

ლიბერთი ბანკი

საგადახდო დავალება #: 4362

თარიღი: 2016 წლის 29 12, ხუთშაბათი

GEL	
GEL	
959.99	
თანხა სიტყვიერად	
ცხრაას ორმოცდაცხრამეტი GEL და 99	

გადამხდელის დასახელება: სსიპ ქალაქ თბილისის N108 საჯარო სკოლა

ანგარიში (დებეტი): GE43LB0121151729644000

გადამხდელის ბანკი: სს "ლიბერთი ბანკი"

ბანკის კოდი: LBRTGE22

გადასახადის გადამხდელის დასახელება:

საიდენტიფიკაციო კოდი:

საბიუჯეტო შემოსავლის კოდი:

მიმღების დასახელება: შპს ,,მეტრომარტ"

საიდენტიფიკაციო კოდი:

ანგარიში (კრედიტი): GE50TB7716636020100001

მიმღების ბანკი: "თიბისი ბანკი"

ბანკის კოდი: TBCBGE22

გადახდის დანიშნულება: პროექტორის შესყიდვა (ს/კ 401975662)

ხელმოწერა:

ბ.ა.

დოკუმენტი დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი: 29.12.2016

ხელმოწერა:

ლიბერთი ბანკი LIBERTY BANK მესაზღვრეთა ინსპექციის ბანკის მეშვეობით